

პრესრელიზი

ალაზანი 1 ჰესის რეაბილიტაცია დასრულდა

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია აცხადებს, რომ დასრულდა არსებული, ალაზანი-1 ჰესის რეაბილიტაცია, რომელიც მდებარეობს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა დაახლოებით ნახევარი წელი, რის განმავლობაშიც შესრულდა შემდგომი სამუშაოები: დაყენდა ახალი ძალოვანი კვანძის ჰიდროაგრეგატები, მოხდა ჰესის შენობის რეკონსტრუქცია, შეიცვალა ჰესის ელექტრული სისტემა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქვესადგურს, ასევე აღდგა ფილტრაციული წყლების გამყვანი არხები და სადრენაჟო სისტემა.

ამ ყველაფერმა უზრუნველყო ჰესის მუშა სიმძლავრის თითქმის გაორმაგება და გამომუშავებული ელექტროენერჯის მკაფიო ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კახეთის რეგიონის ელექტრომომარაგებას.

12.11.2011

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

